



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გაგოშიძე თამარ შოთას ასული

გაგოშიძე თამარ შოთას ასული (დ. 13. III. 1959, თბილისი), ფსიქოლოგი, ფსიქოლ. მეცნ. დოქტორი (1997), პროფესორი (1998). სწავლა დაიწყო თსუ-ის ფსიქოლ. ფაკ-ტზე და დაასრულა მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. უნ-ტის ამავე ფაკ-ტზე ნეირო-და პათოფსიქოლ. განხრით (1980). მუშაობდა დ. უზნაძის სახ. ფსიქოლ. ინ-ტში (1985–87). 1988-იდან თსუ-ის თანამშრომელია, სადაც მისი ხელმძღვანელობით გაიხსნა პირველი სამაგისტრო პროგრამა – კლინიკური ნეიროფსიქოლოგია. 2014-იდან ფსიქოლ. ფაკ-ტის დეკანია. პარალელურად მუშაობს ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის ინ-ტში, სადაც განახორციელა სხვადასხვა სახის დარღვევების ნეიროფსიქოლ. დიაგნოსტიკისა და რეაბილიტაციის პროგრამები. გ-ის სადოქტორო დისერტაცია პარკინსონიზმის ფსიქოლ. პრობლემებს ეხებოდა. კოლეგებთან ერთად დააფუძნა ფსიქომეტრიული და საკონსულტაციო ასოციაცია (1997). 1999-იდან გ. მუშაობს ბავშვთა განვითარების დარღვევებზე. მისი ხელმძღვანელობით შემუშავდა განვითარების დარღვევების შესაფასებელი ქართულენოვანი ნეიროფსიქოლ. სისტემა. მიმდინარეობს მუშაობა შესაბამისი ნეიროფსიქოლ. რეაბილიტაციის მიმართულებით. გ-ის ხელმძღვანელობით 2009 ამოქმედდა ბავშვთა ადრეული განვითარების დარღვევების პრევენციის სახელმწიფო პროგრამა. გ. აქტიურად მონაწილეობს საერთაშ. კონფერენციების მუშაობაში, ეწევა ნაყოფიერ კვლევით, პედაგოგიურ, პრაქტიკულ და საორგანიზაციო საქმიანობას.

თბზ.: ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები. თბ., 2007; ინკლუზიური განათლების პრინციპები (თანაავტ.). თბ., 2009; Autism and equine therapy / International handbook: Man and Horse. All about hyppo/ridetherapy. ed. D. Tsverava. , TMI, 2011; Cognitive functions of children exposed to antiepileptic drugs in utero – Study in Georgia. Together with: S. Kasradze , G. Lomidze, Sh. Mamukadze, N. Tatishvili, Tompson T. //

